


ADD - OPTIMALS™

თქვენი პრობლემის
ოპტიმალური გადაწყვეტა



მთელდ ელინი


სოკოსგან ეფექტური დაცვა



INTRACO
GEORGIA

ინტრაკო ჯორჯია

WWW.INTRACO.GE



მოულდ ქლინი

სოკოსგან ეფექტური დაცვა

დაგვიკავშირდით:
+995 551 43 00 04
+995 595 94 71 47
info@intraco.ge
www.intraco.ge



ობის ინფექცია სიმინდის მარცვალზე



სოკო გავრცელება ქერის მარცვლებზე

პროდუქტის აღწერა:

მოულდ ქლინი სოკოს საწინააღმდეგო ეფექტური საშუალებაა, რომელიც შედგება ძლიერი ამინო მჟავებისა და გაწმენდილი ეთერზეთების ნაზავისაგან. ეს სინერგიული ნაერთი მიკრობების ფართო სპექტრს ანეიტრალურს, მათ შორის ისეთ გავრცელებულ პათოგენებს, როგორებიცაა სალმონლა სპ. და ეშეია კოლი. მოულდქლინი განსაკუთრებით ეფექტურია ღორისა და ქათმის საკვების დასამუშავებლად. ის მოთეთრო მონაცრისფრო, არაკოროზიული ფხვიერი მასაა. სტაბილურია მაღალ ტემპერატურულ გარემოშიც. მისი საკვებში შერევა და დოზირების დაცვა მარტივი და მოსახერხებელია.

სპეციფიკაციები:

მოქმედი ნივთიერებები

- **ორგანული მჟავები და მარილები:** კალციუმის პროპიონატი (E282), პროპიონის მჟავა (E280), ჭიანჭველმჟავა (A4210), რძემჟავა (E238), ლიმონ მჟავა (E330).
- **ფიტობიოტიკები:** მაღალი სიწმინდის მქონე, მცენარეული ეთერზეთების ნაზავი.
- **მინერალური შემავსებელი:** მიკოტოქსინების მიმბმელი თიხა სეპილიტი (E562).
- **ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები**
- სიმკვრივე: 0.8-1.05 გ/სმ³
- pH - 3.5 - 5.0
- ტენიანობა - <10%
- გრანულების ზომა - მინ. 98% <0.8 მმ
- სუნ - ორგანული მჟავებისა და მცენარეული არომატები

შეფუთვა:

25 კგ-იანი მრავალ ფენიანი ქაღალდის ტომარა. ტომრის შიდა ფენა უზრუნველყოფს ჰერმეტიკულობას და პროდუქტს იცავს ტენისა და დაჟანგვისაგან.

ლოდინის პერიოდი:

0 დღე

მახასიათებლები:

მოულდ ქლინი გამოიყენება მავნებელი სოკოებისა და ბაქტერიული პათოგენების (*Salmonella spp.*; *E.coli* და ა.შ.) გასაანეიტრალებლად როგორც საკვებსა და მარცვლეულში, ასევე მონოგასტრიტული ცხოველების მომწელებელი სისტემის შიგნით. მოულდ ქლინი შეიცავს კარგად დაბალანსებულ მჟავა გარემოს შემქმნელ მცენარეულ ნაერთებს. სოკო მნიშვნელოვან ზარალს აყენებს მარცვლეულით მოვაჭრეებს, საკვებ მწარმოებლებსა და ფერმერებს. მისი თავიდან აცილება მარტივად შესაძლებელია მოულდ ქლინის გამოყენებით.

ორგანული მჟავები pH-ის დონეს სწევნ ქვემოთ როგორც საკვებში, ასევე მომწელებელ სისტემაში და პათოგენურ უჯრედებში. ეს ეხმარება ცხოველს გამოყოფს მეტი რაოდენობით მომწელებელი ენზიმები. ამასთან, ორგანული მჟავები აფერხებენ ამიაკისა და სხვა ზრდის შემაფერხებელი მიკრობების გამოყოფას. პროპიონის მჟავა და პროპიონის მარილი ყველაზე წარმატებული ნაწილაკებია მავნე სოკოების გასაანადგურებლად, შესაბამისად ეხმარებიან ღვიძლს, ნაღველსა და მთლიანად მომწელებელ სისტემას სწორ ფუნქციონირებაში. მათი განსაკუთრებული სტრუქტურის მეშვეობით იოლად ანადგურებენ სოკოს უჯრედების გარე კედლებს.

ბენზოის მჟავას აქვს განსაკუთრებულად დადებითი ეფექტი მიკროფლორის ჩამოყალიბების პროცესში (ის ყველაზე ეფექტურად ანადგურებს მავნე საფუარებს). ამას გარდა ის ხელს უწყობს სახამებლისა და პროტეინის უკეთ მონელებას. შედეგად ფერმერი იღებს გაზრდილ წონანამატსა და გაუმჯობესებული ხარისხის ხორცს. ამასთან, ბენზოის მჟავას ღორის კვებაში აქვს აპეტაიზერის ფუნქცია, შესაბამისად ზრდის საკვების მიღების დიდი მოცულობას.

ეთერზეთები პათოგენების უჯრედების კედლებს ათხელებს და ამინო მჟავებს უმარტივებს მათში შეღწევას და განადგურებას. მცენარეული ზეთები ხელს უწყობს ენდოგენური მომწელებელი ენზიმების გამოყოფას, რაც თავის მხრივ განაპირობებს მოწელებელი მასის შემცირებას. პათოგენები მოწელებელ მასას უკეთებენ ფერმენტაციას (მაგ.: გარდაქმნიან ტოქსიკურ ბიოგენურ ამიაკად), რაც იწვევს დიარეას და ფეკალიების გათხევადებას (ეს პრობლემა ყველაზე მეტად გოჭების ასხლეტვისას ჩანს). თუმცა ნაკლები მოწელებელი მასის დარჩენის გამო, პათოგენებს ამის საშუალება აღარ ეძლევათ. გარდა ამისა, ეთერზეთები აუმჯობესებენ საკვების ორგანოლეპტურ თვისებებს. შესაბამისად იზრდება საკვების მიღების ყოველდღიური მაჩვენებელი.

მოულდ ქლინი კომპლექსური მიდგომის შედეგად ხელს უშლის პათოგენური ენტერობაქტერიების, სოკოებისა და მიკოტოქსინების (მაგ.: DON, ZEA, AFLA) გავრცელებას. ამასთან აფერხებს სხვადასხვა სახეობის ობის განვითარებას (მაგ.: *Aspergillus*, *Fusarium*, *Zygomycetes*, *Penicillium spp.* და ა.შ.). ეს ყველაფერი ხელს უწყობს საკვების სწორად და დიდხანს შენახვას. ვინაიდან, მოულდ ქლინი გათვლილია კონკრეტულ მავნე მიკრობებზე, ის არ აზიანებს სასარგებლო ორგანიზმებს, როგორებიცაა *Lactobacilli*, *Bifidobacteria*. ის უსაფრთხოა კომერციულად გამოყვანილი პრობიოტიკებისთვისაც კი (მაგ.: *E.Faecium*).

გამოყენების რეკომენდაცია:

დოზირება:

- 1,5 - 2 კგ/ტ: სტანდარტული საკვების შემთხვევაში (ტენი <14%); მარცვლეულისა და ზეთის გამოხდის გზით მიღებული შროტების შესაბამისად (მაგ.: სოიოს ან მზესუმზირის შროტი)
 - 2,5 - 3 კგ/ტ: გამოიყენება მაშინ, როცა არსებობს სოკოთი დაზინძურების აშკარა ნიშნები.
- შენახვის პირობები:** შეინახეთ მზის სხივისგან დაცულ, ბნელ, გრილ და მშრალ ადგილას. შენახვის პირობების დაცვის შემთხვევაში პროდუქტი ვარგისია წარმოებიდან 18 თვის განმავლობაში. გახსნილი ტომრის შენახვის შემთხვევაში, მჭიდროდ მოაკარი თავე.